



საკრებულო XXVIII ჩემპიონატს ახალი ლიდერი ყავს. ესაა ოსტარტი გუფელი, რომელმაც (3-4 ტურებში) პირველი დამარცხება მიიყენა ბრონტინის, ხოლო შემდეგ გამოიყენა ხასინის სადებიუტო შეტეგებები, მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც. ამჟამად გუფელი პირველ ადგილზეა სამი ქულით ოთხი შესაძლებლიდან.

დიდი სიმწვავეით ხასიათდება ტურნირის ყველა პარტია. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ბანიკ-პეტროსიანის შეხვედრა, სადაც უკვე 12 სკლის შემდეგ სკლების განმეორებით მეტოქენი ყაიპზე შეთანხმდნენ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონ კორჩინოს 2,5 ქულა აქვს 3 თამაშიდან. მისი მეოთხე პარტია ოსტარტი სიმეგინთან გადაიდო რთულ პოზიციაში, მესამე ადგილზე ავერბასი, რომელმაც პირველ ტურში მოგების შემდეგ სამი პარტია ყაიპით დაამთავრა. სმის-ლოგმა საუცხოო სტილით მოიპოვა თავისი პირველი გამარჯვება ბორისენკოსთან.

მეორე ტურში გათამაშებულ პარტიებიდან უნდა აღინიშნოს

გელერისა და პოლუგაევსკის უაღრესად სინტეტური მსხვერპლად გელერმა შესანიშნავად ჩაატარა იერიში, რომელიც დასრულდა ლანიერის შეწრებით. ეს პოლუგაევსკის პირველი დამარცხებაა, სპასკიმ შეუპოვარი დაცვით მოიგვრია ფურმანის იერიში, შემდეგ თვით დაეუფლა ინიციატივას და პირველი გამარჯვება მოიპოვა. ლენინგრადელ გროსმისტერის პარტია გელერთან გადადებულა.

გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები.

### ვინ იქნება ფალავანი?

გუშინ, 16 იანვარს, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო საქართველოს 1960 წლის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მასში, ისევე როგორც 1959 წლის აბსოლუტურ პირველობაზე, თავი მოიყარა მონაწილეობა თითქმის სარეკორდო რაოდენობამ და ძლიერმა შემადგენლობამ. რესპუბლიკის ფალავნობისათვის იბრძვის 17 მოქიდავე, რომლებიც სამ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი. შეჯიბრების დებულებების მიხედვით, ქვეჯგუფში პირველ და მეორე ადგილებზე გამოსული მოქიდავეები შექმნიან უძლიერესი ექვსეულის ფინალურ ჯგუფს და თავიანთ შორის გაითამაშებენ აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას.

ვინ მოიპოვებს ქართულ ჭიდაობაში ამ ყველაზე უფრო პოპულარულ, საპატოო წოდებას? 1957 წლის ფალავანი ა. კიკნაძე? 1958 წლის ფალავანი ა. ვარდოშვილი? საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული მოქიდავე — დ. ბერუაშვილი? თუ სხვა ვინმე? ამის თქმა ჭერჭერობით ძალიან ძნელია, თუმცა სპორტსმენებმა უკვე გუშინ, დღისით, უკან მოიტოვეს შეჯიბრების ორი წრე. მაგრამ ამ ორი წრის შეხვედრებში თვალნათლივ გამოვლინეს, რომ სამივე ეს ფავორიტი კარგ საბრძოლო ფორმაშია და სერიოზული პრეტენზიები აქვს ფალავნობაზე. მათ უკვე ორ-ორი გამარჯვება ჩიწვრის თავიანთ აქტივში, თანაც, ორ მათგანს — დ. ბერუაშვილსა და ა. ვარდოშვილს მეტად მძიმე ბრძოლაში მიუხედავად გამარჯვებების მოპოვება ა. ჭიბორო წაშვილთან და ნ. ყაზმაშვილთან შეხვედრებში, სერიოზული განაცხადი წარმოადგინა აგრეთვე გორულმა მოქიდავემ ბ. ბაღკაშვილმა, რომელსაც ორი გამარჯვება აქვს, მათგან ერთი — მასზე თითქმის 40 კილოგრამით მძიმე მოქიდავეზე — თბილისელ გ. უნდილაშვილზე.


ზ. ჯუღალი

### რეპინელაგმა აიღეს რეპინი

კვირას, ბუქარესტში მრავალათასიანი მაცურებლის თანდასწრებით გაიმართა ხელბურთელთა (7X7) მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შესარჩევი მატჩი მეხუთე ჯგუფში. მასპინძლებმა — რუმინეთის ხელბურთელთა ნაკრებმა მიიღო საბჭოთა კავშირის ნაკრები, როგორც ჩანს, რუმინელებს, რომლებსაც სპორტის ამ სახეობაში გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ, სათანადო დასკვნები გამოუტანიათ მოსკოვში, განცდილი დამარცხებიდან. მათ მატჩი მოიგეს ხუთი ბურთის განსხვავებით — 18:13.

ორი მატჩის ჯამში ბურთების უკეთესი შეფარდებით — 27:25 მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლის გაგრძელების უფლება.

პროლეტარებო ყველა მშენებელი, შეერთდით!



საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საზოგადოება

П Е Л О

Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 8 (1644) საშუაბათი, 17 იანვარი, 1961 წ. გამოცემის 80-17 წელი. ფასი 3 კაპ.

მწვერვალისაკენ... ფოტოგრაფიული გ. თიანათისა.

### ბაკურიანში

ბაკურიანი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისგან). გუშინ აქ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სამთო მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება. კვირას სლალომის ახალი ტრასა კობრაზე მთლიანად ქალებს დაეთმო. მონაწილეთ ორ-ორი ცდა ჰქონდათ შესასრულებელი. აქაც ისე, როგორც შეჯიბრების პირველ სახეობაში — გიგანტურ სლალომში გამარჯვებული გამოვიდა არმიელთა გუნდის წარმომადგენელი ს. კორხუხინა — 1,44,7. დინამოელმა ე. კაბინამ გამარჯვებულთან წააგო 2,3 წამით და მეორე ადგილი მოიპოვა, ა. კონიაევა (რსფსრ) გამოვიდა მესამეზე — 1,47,1. ფინიშზე კვლავ მეოთხე იყო ბაკურიანელი ლ. გოგოლაძე (სკოლმეურნე“).

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს პირობების უქონლობის გამო მსაჯთა კოლეგიამ სწრაფდამკვეთის ნაცვლად შეჯიბრება გიგანტურ სლალომში ჩაატარა. ქალებში პირველი ოთხი ადგილი იმავე თანმიმდევრობით განაწილდა, როგორც წინა დღეს. ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ვ. ტალიანოვი.

სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების დამფუძნებელი კონფედერაციის გადაწყვეტილებებმა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ბევრ უბანზე დასახა ახალი, დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება ავალდებულებს რესპუბლიკათა, მხარეების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების სპორტსაბჭოებს თავიანთ მუშაობაში ერთ-ერთ ძირითად უბანად დასახონ მოსწავლეთა შორის მასობრივი თვითმოქმედი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაშლა-გაფართოება.

მას შემდეგ კარგახანი გავიდა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ამ მიმართებითაც მიღწეულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი წარმატებები. ჩელიაბინსკის ოლქის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საშეფო სკოლებისათვის აშენებენ მთელ სპორტულ ქალაქებს, საწყლოსნო აუზებს.

ეს ფაქტი მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში მოპოვებულ გამარჯვებაზე მეტყველებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაგან, ჩვენი ქვეყნის

### უეზის მგრუნელი სელო — სკოლა

ყველა კუთხეში, კერძოდ კი — ჩვენს რესპუბლიკაში, როდია საქმე ასე კარგად დაყენებული. თუ ჩვენ შედარებით მაღალი მიღწევები გვაქვს მოსწავლეთა შორის სპორტულ მუშაობაში, იგივე არ იქმნის საქართველოს სკოლებში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის შესახებ. კერძოდ ბევრი რამა გასაკეთებელი სკოლებზე საშეფო დახმარების გაუმჯობესების თვალსაზრისით. საჭიროა ყოველ სკოლას გამოეყოს ნამდვილი, გულშემატკივარი შეფი მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივის სახით. მსხვილ ქალაქებში რაიონული დაყოფით მიზანშეწონილია

მარტში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჭაბუკი მოქალაქეები გაითამაშებენ სპეციალურ ტურნირს, რომელიც გამოავლენს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს საბჭოთა კავშირიდან. იანვარში ჩატარდება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი სტუდენტთა შორისაც (19 წლამდე). სამი გამარჯვებული სტუდენტია, ხოლო სამი გამარჯვებული ამჟამად მიმდინარე ჭაბუკთა ჩემპიონატიდან გაითამაშებენ ტურნირის მსოფლიო პირველობაში მონაწილეობისათვის.

პ. პარსლავაძე, დამსახურებული მწვრთნელი.

### საგჭოთა კავშირის პირველობაზე

თამაში უჩვენა, ბევრი პარტია კომბინაციური სტილით მოიგო. მტკიცედ ატარებდა თავის პარტიებს დაეითაშვილიც. მათ გარდა ფინალში გავიდნენ ოსტატობის კანდიდატი შაშინი (ლენინგრადი), ოსტატობის კანდიდატი როზენბერგი (მოსკოვი), პირველთაწიგონები ზახაროვი (დაღესტანი) და სხვ. ჩემპიონატები გრძელდება.

# საბჭოთა საქართველო

## I ჯგუფის კოლექტივების გუნდებისათვის

1. ფიგურული სრილი, ბაკურიანი, 25-28 იანვარი.
2. ველორბოლა, სოხუმი, 28-31 მარტი.
3. მძლეოსნობა, ბათუმი, 1-4 აპრილი.
4. წყალში ხტომა, თბილისი, 1-4 აპრილი.
5. მშვილდოსნობა, გორი, 1-4 აპრილი.
6. კალათბურთი, ფოთი, 1-5 აპრილი.
7. წყალბურთი, თბილისი, 1-5 აპრილი.
8. ფარიკაობა, ქუთაისი, 1-6 აპრილი.
9. ფეხბურთი, 2-23 აპრილი.
10. ფრენბურთი, სოხუმი, 5-8 აპრილი.
11. ტყვიით სროლა, თბილისი, 5-8 აპრილი.
12. კლასიკური ჭიდაობა, ბათუმი, 8-12 აპრილი.
13. ძალოსნობა, ბათუმი, 9-11 აპრილი.
14. ცურვა, თბილისი, 9-12 აპრილი.
15. ქართული ჭიდაობა, გორი, 10-12 აპრილი.
16. ბაიარა, კანოე, ფოთი, 11-15 აპრილი.
17. შაში, სტალინირი, 11-19 აპრილი.
18. თავისუფალი ჭიდაობა, სოხუმი, 13-16 აპრილი.
19. მაგდის ჩოგბურთი, ბათუმი, 13-17 აპრილი.
20. ჩოგბურთი, ბათუმი, 13-18 აპრილი.
21. ხელბურთი 7x7, რუსთავი, 15-18 აპრილი.
22. ტან-

## სად და როდის ჩაგარდება

ვარჯიში, თბილისი, 15-19 აპრილი.  
23. ჭადრაკი, ქუთაისი, 15-23 აპრილი.

## ფინალი სპორტის სალკეულ სახეობებში

## II ჯგუფის კოლექტივების გუნდებისათვის

1. ველორბოლა, სოხუმი, 28-31 მარტი.
2. მძლეოსნობა, ბათუმი, 1-4 აპრილი.
3. ფარიკაობა, ქუთაისი, 1-6 აპრილი.
4. ფეხბურთი, 2-23 აპრილი.
5. ტყვიით სროლა, თბილისი, 5-8 აპრილი.
6. კალათბურთი, გორი, 5-9 აპრილი.
7. ძალოსნობა, ბათუმი, 9-11 აპრილი.
8. ცურვა, თბილისი, 9-12 აპრილი.
9. ქართული ჭიდაობა, გორი, 10-13 აპრილი.
10. ფრენბურთი, ქუთაისი, 10-14 აპრილი.
11. თავისუფალი ჭიდაობა, სოხუმი, 13-16 აპრილი.
12. მაგდის ჩოგბურთი, ბათუმი, 13-17 აპრილი.
13. ჭადრაკი, გორი, 13-21 აპრილი.
14. ტანვარჯიში, თბილისი, 15-19 აპრილი.

8. ფარიკაობა, ქუთაისი, 26-31 მარტი.
9. ფეხბურთი, 26 მარტი, 16 აპრილი.
10. კალათბურთი, ფოთი, 27-31 მარტი.
11. წყალში ხტომა, თბილისი, 29 მარტი, 1 აპრილი.
12. ტანვარჯიში, თბილისი, 29 მარტი, 3 აპრილი.
13. ფრენბურთი, სოხუმი, 1-4 აპრილი.
14. ბაიარა, კანოე, ფოთი, 11-15 აპრილი.

## სასკოლო კოლექტივების გუნდებისათვის

1. ველორბოლა, სოხუმი, 25-27 მარტი.
2. მძლეოსნობა, ბათუმი, 25-28 მარტი.
3. ცურვა, თბილისი, 25-28 მარტი.
4. ტყვიით სროლა, თბილისი, 25-28 მარტი.
5. ჭადრაკი, ზუგდიდი, 25 მარტი, 2 აპრილი.
6. მაგდის ჩოგბურთი, ბათუმი, 26-30 მარტი.
7. ჩოგბურთი,

## მაღალკვალი და რაიონების ნაკრები გუნდებისათვის

1. ციგურაობა, ბოგლანოვკა, 25-29 იანვარი.
2. თხილამურები, ბაკურიანი, 25-29 იანვარი.
3. პოკეი, ბაკურიანი, 25-29 იანვარი.
4. აკრობატიკა, რუსთავი, 2-5 აპრილი.
5. იალქანი, ბათუმი, 5-8 აპრილი.
6. კრივი, ქუთაისი, 7-10 აპრილი.

## ჯონგლები

7. სამბო, სტალინირი, 7-10 აპრილი.
8. მოტორბოლა, რუსთავი, 7-10 აპრილი.
9. სასტენდო სროლა, სოხუმი, 9-12 აპრილი.
10. ტრეპზე რბოლა, თბილისი, 9-13 აპრილი.
11. თანამედროვე ხუთჭიდი, თბილისი, 9-14 აპრილი.
12. მხატვრული ტანვარჯიში, თბილისი, 15-18 აპრილი.
13. აკადემიური ნიჩბოსნობა, ფოთი, 16-18 აპრილი.
14. ცხენოსნობა, თბილისი, 20-26 აპრილი.

## ჯონგლები გამარჯვებულ გუნდებისათვის

1. ქართული ჭიდაობა, გორი, 25-27 მარტი.
2. ტყვიით სროლა, თბილისი, 25-27 მარტი.
3. ველორბოლა, სოხუმი, 25-27 მარტი.
4. ფეხბურთი, 2-23 აპრილი.
5. მძლეოსნობა, ბათუმი, 5-7 აპრილი.
6. კალათბურთი, ფოთი, 6-10 აპრილი.
7. თავისუფალი ჭიდაობა, სოხუმი, 9-12 აპრილი.
8. ისინდი, ცხენბურთი, ზუგდიდი, 9-14 აპრილი.
9. ფრენბურთი, თელავი, 12-15 აპრილი.
10. ლელო, გვეგეკორი, 13-17 აპრილი.
11. ძალოსნობა, თელავი, 16-19 აპრილი.


## ქუთაისი

ერთ თვეს გრძელდებოდა ქუთაისის საქალაქო სპორტკაიდა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. მასში მონაწილეობდა 43 კოლექტივი.

პირველ ჯგუფში ფარიკაობაში, საგზატყვილო ველორბოლაში, საბაიარო ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომაში, სიმძიმეების აწევაში და ქართულსა და თავისუფალ ჭიდაობებში გაიმარჯვეს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტსმენები; კალათბურთში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ტყვიით სროლაში, ჩოგბურთში, მაგდის ჩოგბურთში, შაში, ფრენბურთში, ფეხბურთში და ხელბურთში პირველი ადგილი დაიკავეს პედინსტიტუტის წამომადგენლებმა, კლასიკურ ჭიდაობასა და ცურვაში — აბრეშუმ-კომბინატის სპორტსმენებმა, წყალბურთში და მშვილდოსნობაში — ლატოპონის ქარხნის მუშებმა.

მეორე ჯგუფის გუნდებს შორის კალათბურთში, ფრენბურთში და მაგდის ჩოგბურთში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქალაქმშენსა-სპორტის წარმომადგენლები, ქართულ ჭიდაობასა და მძლეოსნობაში — სატყეო ტექნიკუმის სტუდენტები, ფარიკაობაში — მაუდის ფაბრიკის მოფარიკავეები, ტანვარჯიშში — ტყავფეხსაცმლის კომბინატის ფიზკულტურელები, ცურვაში, ტყვიით სროლასა და სიმძიმეების აწევაში — სამთო ტექნიკუმის სპორტსმენები.

ფეხბურთში სპორტკაიდის ჩემპიონები გახდნენ ქუთაისელების წარმომადგენლები, თავისუფალ ჭიდაობაში — რკინიგზის კვანძის სპორტსმენები.



სპორტის ოსტატი ა. მახარაძემ თავისი სიმდიერე ერთხელ კიდევ დაამტკიცა გორში გამართულ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატში. დაამარცხა რა ყველა მოწინააღმდეგე, მოიპოვა ოქროს მედალი თავისუფალ ჭიდაობაში. სურათზე თქვენ ხედავთ ოსტატების მახარაძისა (ზევიდან) და დერიაშინის (რისხს) ორთაბრძოლის მომენტს.

## თერჯოლა

რაიონის ათი საშუალო სკოლის მოსწავლე სპორტსმენები დიდ ინტერესით მონაწილეობენ სიღვიბილო სპორტკაიდაში. უკვე დამთავრდა შეჯიბრებები ფეხბურთში და ფრენბურთში. ფეხბურთში უკლიერესის სახელი დაისაკუთრა თერჯოლის საშუალო სკოლის გუნდმა. მეორე ადგილი დარჩა ქვემო სიმონეთს, ხოლო მესამე სახეობის სპორტსმენებს. ფრენბურთში ქალთა შეჯიბრებაში პირველი იყვნენ ქვედა სიმონეთელები, ვაჟთა ტურნირში ჩემპიონები გახდნენ თერჯოლელები.

ლ. ჯიფიაშვილი



ფოთში დამთავრდა საქალაქო ჩემპიონატი ჭადრაკში. ჩემპიონი სახელი მოიპოვა შ. რუსაძემ. მთავარმა კონკურსგარეშე მონაწილეობდა ოსტატი ა. ბლაგიძე.

სურათზე: ა. ბლაგიძე (მარჯვნივ) ნავსადგურის მუშებთან ბრძოლებს სენს.

ფოთი რ. ჯვამიჩავაძე

## გორი

ქუთაისის მოსწავლეთა საქალაქო სპორტკაიდაზე მძლეოსნობაში, ველორბოლაში, ჩოგბურთში, მაგდის ჩოგბურთში, ცურვაში, წყალში ხტომაში და ნიჩბოსნობაში გაიმარჯვეს მე-9 საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

კალათბურთში (ვაჟთა შორის) და ტყვიით სროლაში უსლაერენს იყვნენ მე-3 საშუალო სკოლის გუნდები, ფრენბურთში — მე-14 სკოლის ვაჟთა და მე-17 სკოლის ქალთა კოლექტივები, ფარიკაობაში — მე-8, ჭადრაკში — მე-19, ტანვარჯიშში — მე-20 საშუალო სკოლის გუნდები. ფეხბურთში სპორტკაიდის ჩემპიონები გახდნენ მე-15 საშუალო სკოლის სპორტსმენები. კალათბურთულ გოგონათა ტურნირი მოიგეს 21-ე სკოლის გუნდებმა.

ი. ბუხანიძე

გორის საქალაქო სპორტკაიდაში 1860 ქაბუკი და ქალოვილი სპორტის 11 სახეობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

სპორტკაიდას მომზადებული შეხვდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის, ბაბბეულის კომბინატისა და სპორტული სკოლის სპორტსმენები. მომავალმა პედაგოგებმა პირველი ადგილები დაიკავეს მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში და ჭადრაკში. მათ წილად ხვდათ საერთო პირველი ადგილიც. საუცხოო შთაბეჭდილება დატოვეს ნორჩმა მაგდის ჩოგბურთელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს პედაგოგიური ინსტიტუტის ძლიერი კოლექტივი.

ი. თაველიაშვილი



